ავთვისებიანი სიმსივნური დაავადებების წარმოშობა-გავრცელების კავშირი გეოგრაფიულ (ლანდშაფტურ) გარემოსთან

ლამარა დოხნაძე

ელ.ფოსტა: Lamara.Dokhnadze780@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის გამზირი #3, 0179, თბილისი

ანოტაცია

ადამიანი და გეოგრაფიული გარემო ისე არასდროს ყოფილა ერთმანეთთან დაკავშირებული როგორც დღეს. სწორედ ანთროპოგენური ზემოქმედების მასშტაბების გაზრდამ და გარემოზე ზეწოლამ განაპირობა მეცნიერების ახალი დარგის სამედიცინო გეოგრაფიის ჩამოყალიბება. სამედიცინო გეოგრაფიული კვლევა საშუალებას გვაძლევს წინასწარ განვსაზღვროთ თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს გარემო ფაქტორებმა ადამიანის ჯანმრთელობაზე.

კვლევებით დადასტურებულია, რომ დღესდღეისობით გავრცელებული დაავადებების უმეტესობის წარმოშობა და გავრცელება, პირდაპირ კავშირშია სოციალურ და გარემო ფაქტორებთან. მათ შორისაა ენდემური წარმოსობის დაავდებები, როგორებიცაა კენჭოვანი დაავადებები, ჩიყვი, ასევე პარაზიტული დაავდებები, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და რაც ყველაზე მნიშვნელოვაანია და თანამედროვე ეპოქის უდიდეს გამოწვევად ითვლება ავთვისებიან სიმსივნური დაავადებები, როგორებიცაა საჭმლის მომნელებელი ორგანოების, ფილტვის, კანის, კუჭის, ღვიძლის კიბო. ასევე მსოფლიოსთვის მნისვნელოვანია ბავშვთა შორის ლეიკემიის განვითარების სიხშირე, რაც პირდაპირ კავშირშია იმ გარემო ფაქტორებთან სადაც ბავშვი იზრდება. დღესდღეისობით ბავშვები იზრდებიან ისეთ გარემოში სადაც სადეზიფექციო საშუალებები, ყოველდღიური მოხმარების საზიანო საყოფაცხოვრებო ნივთები(აეროზოლები) ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება, თუ არ ჩავთვლით ასევე მაიონებელ გამოსხივებას, სხავადსხვა ქიმიკატებს (მაგ.ბენზოლი) რაც გაფრქვეულია ატმოსვეროში და რაც საზიანოდ აისახება არა მარტო ბავშვებში არამედ ზრდასრულ ადამიანებშიც.

დღესდღეისობით საკმაოდ დიდი ცოდნაა დაგროვილი ავთვისებიანი სიმსივნეებისა და გარემო ფაქტორებს შორის კავშირის შესახებ. უამრავი კვლევა ადასტურებს, რომ სისმსივნეთა გარკვეული ნაწილი პირდაპირ კავშირშია ატმოსფეროში არსებულ რადიაციასა და ქიმიური ელემენტებს შორის, რომელთა რაოდენობა მსხვილი ურბანული ქალაქების თავზე ზღვრულად დასაშვებ ნორმაზე მეტია. დასტურდება კავშირი კანის კიბოსა და მზის რადიაციას შორის. სიმსივნეთა ნაწილი სასმელ წყალში და ნიადაგში ზოგიერთი ელემენტის ანომალიურ შემცველობას უკავშირდება (რკინის, ვერცხლისწყლის, გოგირდის დიოქსიდის, აზოტის დიოქსიდი და ა.შ) რაც იწვევს საყლაპავი მილი, კუჭის კიბოს.

დადგენილია, რომ სიმსივნეთა დიდი რაოდენობა ვლინდება მსხვილ ქალაქებში, სამრეწველო ცენტრებში, სადაც ქიმიკატების კონცენტრაცია ძალზედ მაღალია და მწვანე საფარი შეზღუდულადაა წარმოდგენილი. ასევე ონკოლოგიური დაავადებების სიმრავლით გამოირჩევა საზღვაო პორტების მიდამოები, სადაც გარდა ჰაერის დაბინძურებისა მიმდინარეობს სანაპირო ზოლის დეგრადაციაც ნავთობპროდუქტებით.

ავთვისებიანი სისმისვნეების გავრცელება იზრდება საქართველოშიც. რისკის ქვეშ ხვდება სამრეწველო ქალაქები: თბილისი, ზესტაფონი, ბათუმი, ფოთი, ჭიათურა, რუსთავი. სწორედ ამიტომ საჭიროა ამ საკითხის კვლევა და რისკ ფაქტორების გამოვლენა, რათა დადგინდეს მკურნალობის მეთოდები და გზები მის აღმოსაფხვრელად. აგრეთვე აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა, რაც უმნიშვნელოვანესია რადგან რაციონალური ბუნებათსარგებლობის პირობებში შესაძლო მოხდეს რისკფაქტორების რაოდენობის შემცირება. ამიტომაც მივიჩნევ რომ მოცემული საკითხის კვლევა როგორც მსოფლიოსათვის ასევე ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.